ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5879376

ნომერი: AR1876359

თარიღი : 05.02.2022

გაცემის თარიღი : 04.04.2022

გაცნობის თარიღი : 04.04.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შალვა გოგიძის I ჩიხი, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ნაკაშიძე პ/ნ 01007008061
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. კორ. 2 ბ. 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 05 თებერვალს №AR1876359 განცხადებით მომართა მანანა ნაკაშიძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს

№4128325 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.02.004.053) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი-ა; ბლოკი-ბ; ბლოკი-გ; ბლოკი-დ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 24 სექტემბრის №4684435 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 24 სექტემბრიდან 2021 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 29 ოქტომბრის №5660510 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 32885.1 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 23022.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 2540.7 კვ.მ.
სამსახურის 2021 წლის 30 ნოემბრის №5705426 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2019 წლის 24 სექტემბრის №4684435 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა გაგრძელდა 2024 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად 2540.1 კვ.მ-ის ნაცვლად 2403.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ავტოსადგომების ფართობი მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ -3.30 ნიშნულის გეგმას და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ავტოსადგომების ფართობი არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ასევე, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი -3.30 ნიშნულის გეგმა არ იცვლება, უბრალოდ მასზე ხდება ავტოსადგომების ფართობის დაზუსტება. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ ავტოსადგომების ფართობის შესწორებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 32748.9 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 32748.9 კვ.მ., ავტოსადგომების ფართობად 2403.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანებით შეთანხმებული -3.30 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 აგვისტოს №4128325 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7),